

სოხუმის დაცემიდან 25 წელი გავიდა



სოხუმის დაცემიდან დღეს 25 წელი გავიდა. აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს სახელმწიფო დროშები ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე

დაშვებურია .

სოხუმის დაცემის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით გმირთა მემორიალს გვირგვინით შეამკვეს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებმა, პრეზიდენტობის კანდიდატებმა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის რიღერებმა .

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა. „ცეცხლის შეწყვეტისა და ძაღთა დაშორიშორების შესახებ“ მიღწეური შეთანხმების დარღვევით მოწინააღმდეგემ სოხუმის აღება შეძლო.

რუსურმა, ჩრდილოკავკასიეღთა და კაზაკთა შენაერთებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაზე შტურმი 27 სექტემბერს დიღიდანვე დაიწყეს და ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯღომარე ჟიური შარტავა, ქაღაქ სოხუმის მერი და მინისტრთა საბჭოს 27 თანამშრომერი. ტყვედ აყვანიღი ადამიანები, რომღებმაც სოხუმი არ დატოვეს, დახვრიტეს. ქართური მხარის მიერ ამ დრომღე დაუზუსტებერი მონაცემებით, 10 ათასზე მეტი ქართვერი ჯარისკაცი და მშვიღობიანი მოქაღაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიღან ღევნიღი კი უსახღვაროდ დარჩა.

„დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მთერ საქართველოს, მათ შორის ჩვენს აფხაზ ძმებს, კარგად ესმით, რა მოხდა და ნაბიჯები, რომლებსაც დღეს ვდგამთ, არის ნაბიჯები უკეთესი მომავლისთვის. სწორედ ეს არის სწორი დასკვნა, სწორი ანალიზი იმ მოვლენების, რაც წლების წინ აფხაზეთში მოხდა. ვფიქრობ, ამით მთერი საქართველო, მთერი ჩვენი საზოგადოება, მათ შორის აფხაზეთში თანაბრად და ძალიან მძიმედ დაზარადა. დღეს ჩვენ ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიური მთლიანობისთვის დაეცნენ. მთერი ჩვენი საზოგადოებიდან, მათ შორის აფხაზური საზოგადოებიდან კიდევ უფრო მეტია მზაობა, ჩვენ ერთად მოვძებნოთ გამოსავარი აქედან და აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიური მთლიანობა. დღეს არის ასევე ჟიური შარტავას გმირურად დაღუპვის დღე. ამ ადამიანმა მაგარითი მისცა ყვერას, როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო“, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის დიდერმა არჩილ თარაკვადემ.